

ისტორიის ოლიმპიადა

2014-2015

I ტური

ამ ტესტის შესრულებით თქვენ დებულობთ მონაწილეობას
„საათმეტატო და ეროვნული ბამოცდებისა“ და „EXAM.GE“-ს
ოლიმპიადაში.

ოლიმპიადის პირველი ტური ტარდება ელექტრონულად.
ბთხოვთ, შეაგსოთ პასუხების ფურცელი მითითებული დაგალებების
ნომრების შესაბამისად.

ტესტის პასუხები ცნობილი გახდება I ტურის დასრულებიდან

14 სამუშაო დღის შემდეგ.

ტესტის მაქსიმალური ქულა: 25

ბისურვებთ წარმატებას!

- კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია

ოთხი სავარაუდო პასუხიდან მხოლოდ ერთია სწორი. აირჩიეთ სწორი პასუხი, ყურადღებით გადაიტანეთ პასუხების ფურცელში. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

1. რომელი დამპყრობლებისგან აითვისეს ეგვიპტელებმა საბრძოლო ეტლები?
 - ა. ნუბიელებისაგან
 - ბ. შუმერებისაგან
 - გ. ეთიოპელებისაგან
 - დ. ჰიქსოსებისაგან
2. რომელი სახელმწიფოს მმართველი იყო სალაჰ ად-დინი?
 - ა. ირანის
 - ბ. ერაყის
 - გ. ეგვიპტის
 - დ. ოსმალეთის
3. რას ნიშნავს ენეოლითი?
 - ა. შუა ქვის ხანას
 - ბ. ახალი ქვის ხანას
 - გ. სპილენძ-ქვის ხანას
 - დ. ბრინჯაო-ქვის ხანას
4. რას უწოდებდნენ ბერძნები და ბიზანტიელები ლაზიკის დედაქალაქ ციხეგოჯს?
 - ა. როდოპოლისს
 - ბ. პერსეპოლისს
 - გ. სებასტოპოლისს
 - დ. არქეოპოლისს

5. რას უწოდებდნენ საკუთარ თავს ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის წინამძღოლობით მომავალი დამპყრობლები?

- ა. დიდ არაბებს
- ბ. დიდ სელჩუკებს
- გ. დიდ ოსმალებს
- დ. დიდ მონღოლებს

- ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით, ხოლო ისტორიული მოვლენები – შესაბამისი თანმიმდევრობით. თითოეული დავალება ფასდება 2 ქულით.

6. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ შემდეგი მოვლენები (უბველესიდან უახლესისკენ):

1. დიდგორის ბრძოლა
2. რუის-ურბნისის კრება
3. დიდი თურქობა
4. სელჩუკთათვის ხარკის გადახდის შეწყვეტა

7. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ შემდეგი მოვლენები:

1. სამხრეთის შტატების კონფედერაციის შექმნა
2. სამოქალაქო ომის დაწყება აშშ-ში
3. აბრაამ ლინკოლნის გაპრეზიდენტება

8. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ პირველი მსოფლიო ომის დროს მიმდინარე მოვლენები:

1. ბრესტ-ლიტოვსკის ზავი
2. იუტლანდის ბრძოლა
3. აშშ-ს ჩაბმა ომში

9. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ათენელი მმართველები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. პერიკლე
2. სოლონი
3. კლისთენე

10. თანმიმდევრობით დაალაგეთ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მომხდარი ცნობილი მოვლენები:

1. „პრადის გაზაფხული“
2. უნგრეთის რევოლუცია
3. ბერლინის კედლის დანგრევა

- შეცდომის პოვნა

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთმოყვანილი ტექსტი. იპოვეთ მასში დაშვებული შეცდომები. შეცდომის აღმოჩენისა და გასწორების შემთხვევაში დაგეწერებათ 1 ქულა, აღმოჩენისა და არასწორად ან არ გასწორების შემთხვევაში 0.5 ქულა. არასწორად პოვნის შემთხვევაში დაგაკლდებათ 0.5 ქულა, ანუ დაგეწერებათ -0.5 ქულა. დავალების მაქსიმალური ქულაა 6 (4+2)

11. ფარცხისის ბრძოლა

1569 წელს ფარცხისის ველზე ქართველთა და ოსმალთა ლაშქარს შორის ბრძოლა მოხდა. აზნაურმა კახაბერ ჯაყელმა მეგზურობა გაუწია მოწინააღმდეგის ლაშქარს. ისინი მოულოდნელად თავს დაადგნენ ქართველთა სამხედრო ბანაკს და მათ შორის ბრძოლა გაიმართა. ქართლის მეფე გიორგი I მცირერიცხოვანი ჯგუფით მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა. უთანასწორო ბრძოლაში მეფის თანამებრძოლები ამოხოცეს, მეფე კი ტყვედ ჩავარდა. მეფის ტყვეობა 1590 წლამდე გაგრძელდა.

- ინფორმაციის იდენტიფიცირება

ინსტრუქცია

ყურადღებით დააკვირდით ქვემოთმოტანილ ფოტოებს და ამოცანით ისტორიულ პიროვნებას. გახსოვდეთ, თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

12. რომელი პიროვნებაა სურათზე?



13. რომელი პიროვნებაა სურათზე?



14. რომელ სახელმწიფოს ხელმძღვანელი იყო სურათზე ნაჩვენები პიროვნება?



15. სად შეხვდნენ სურათზე გამოსახული პიროვნებები ერთმანეთს?

